აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 20

13 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მ. წულუკიძე, ქეთევან ჯიქია.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით აქვს ერთი შენიშვნა, კერძოდ დღევანდელ დღის წესრიგში შესულ დადგენილების პროექტში-საზაფხულო საძოვრებზე გასული შუახევის, ხულოს და ქედის რაიონების ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების შესახებ **მე**-2 მუხლი გადავიდეს პირველი მუხლის ადგილზე, ხოლო პირველი გადავიდეს მეორე მუხლის ადგილზე.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის შესწორებული პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. დადგენილება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის ახალი ვადის განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება საზაფხულო საძოვრებზე გასული ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების შესახებ;

3. სხვადასხვა

1. დადგენილება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის ახალი ვადის განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის ახალი ვადის განსაზღვრის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ. მჭედლიძემ განაცხადა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ შესაბამისი კომისიებისათვის განცხადებით მიმართვის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 17 ივნისის 18 საათი, ხოლო შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი აკრედიტაციის საკითხს წყვეტს განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

2. დადგენილება საზაფხულო საძოვრებზე გასული ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების შესახებ.

მოისმინეს:	უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი საზაფხულო საძოვრებზე გასული ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების შესახებ.
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ დადგენილების პროექტის მომზადებაზე მუშაობდა მთელი იურიდიული სამსახური. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გარშემო სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი სიმონ ჩხაიძე, რომელმაც განმარტა, რომ როგორც წინა სხდომაზე საორგანიზაციო სამსახურის უფროსის, ვალერი გიორგაძის ინფორმაციიდან მოვისმინეთ, 3000 კაცამდე ამომრჩეველია გასული საზაფხულო საძოვრებზე, ეს ხმები კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს 2004 წლის 20 ივნისს ჩასატარებელი არჩევნებისათვის, თან წასული კონტინგენტი გაბნეულია მაღალ მთაზე სხვადასხვა მიმართულებით, ხულოს მაცხოვრებელი შეიძლება გასული იყოს შუახევის მაღალმთიან იალაღებზე, ხოლო ქედისა ხულოში და ა. შ. ასეთ შემთხვევაში მათ მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცემათ. ამასთან საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს ვერ დავავალდებულებთ, რომ აუცილებლად შექმნან საარჩევნო უბნები საზაფხულო საძოვრებზე გასული შუახევის, ხულოს და ქედის რაიონების ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
უმაღლესი საარჩევნო	კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრის შედეგები:	მომხრე -9 წინააღმდეგი 0 (კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

3. სხვადასხვა.

მოისმინეს:	კომისიის წევრის გიზო მჭედლიძის ინფორმაცია წინასწარი რეგისტრაციის შედეგების თაობაზე. მხოლოდ დღეს 13 ივნისს წინასწარი რეგისტრაცია გაიარა მიახლოებით 70000 კაცმა აღნიშნა მან, ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია. სულ წინასწარ რეგისტრაციას გადის 120000-მდე კაცი და ეს 50%-ზე მეტია.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე